შოთა თამაზის ძე შაბურიშვილი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, „ეკონომიკური კვლევების საერთაშორის ქსელის“ გამგეობის თავჯდომარე, „კონკურენტუნარიანობის კვლევის ინსტიტუტის“ დამფუძნებელი, „ეკონომიკურ გამოწვევებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს“ მრჩეველი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის „პროფესიული ორიენტაციის კვლევა საქართველოში“ ძირითადი მკვლევარი, საერთაშორისო საზაფხულო სკოლა: „სოციალური მეწარმეობა განვითარებად ქვეყნებში“ აკადემიური დირექტორი, კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის საგრანტო პროექტის - „საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო საქართველოში“, მენეჯერი.

2005 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამების ეფექტიანობა გარდამავალ ეკონომიკაში (საქართველოს მაგალითზე)“. 2004 წლიდან ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. კითხულობს ლექციების კურსს „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები“, „საერთაშორისო ბიზნესი“, „საერთაშორისო ლოგისტიკა“ „ოფშორული ბიზნესი“, „საწარმოს ეკონომიკა“, „საერთაშორისო ეკონომიკა“, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები“, „ორგანიზაციის თეორია“, „ტრანსნაციონალური კომპანიების სტრატეგიები“. საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მეცნიერული კვლევის სფეროებია საერთაშორისო ბიზნესის გარემო და თანამედროვე გამოწვევები, სტარტაპები და ბიზნეს-ანგელოზები.

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 6 იანვრის N4 განკარგულებით დაჯილდოვებულია ახალგაზრდა მეცნიერთათვის საქართველოს პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტით.